მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები ძირითადად შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისგან.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავიდან აღირიცხება სამართლიან ღირებულებას მინუს ტრანზაქციის ხარჯები. სამართლიანი ღირებულება დგინდება საბაზრო განაკვეთით მსგავს ინსტრუმენტზე. პირველადი აღიარების შემდეგ, ნასესხები სახსრები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, სადაც ყველა სხვაობა თავდაპირველსა და ახლანდელ ღირებულებას შორის აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალის უწყისში საპროცენტო ხარჯად.

ისეთი აქტივების შესყიდვასთან, მშენებლობასთან ან წარმოებასთან პირდაპირ დაკავშირებული სესხის აღების ხარჯები, რომელთა გამოყენებისათვის ან გასაყიდად გამზადებას (კვალიფიცირებული აქტივები) დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება როგორც ამ აქტივების ხარჯების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების დღედ ითვლება დღე, როცა (ა) კომპანია გაიღებს ხარჯებს კვალიფიციურ აქტივზე; (ბ) კომპანია მიიღებს ნასესხები სახსრების ხარჯებს; და (გ) კომპანია განახორციელებს იმ საქმიანობას, რომელიც აუცილებელია აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ მომზადებისთვის.

ნასესხები სახსრების კაპიტალიზაცია გრძელდება იმ დღემდე, როდესაც აქტივები არსებითად მზადაა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან სარეალიზაციოდ.

კომპანია ახორციელებს იმ ნასესხები სახსრების კაპიტალიზაციას, რომელთა თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია კვალიფიციურ აქტივებზე კაპიტალურ დანახარჯებს არ გასწევდა. კაპიტალური ნასესხები სახსრების გაანგარიშება ხორციელდება კომპანიის საშუალო დაფინანსების ხარჯით (საშუალო შეწონილი საპროცენტო ხარჯი გამოიყენება სათანადო აქტივებზე დანახარჯების მიმართ) გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური სახსრების სესხად აღება ხდება კვალიფიციური აქტივის მიღების მიზნით. როდესაც ეს მოხდება, კაპიტალიზირდება ნასესხები სახსრების ფაქტობრივად გაღებული ხარჯები, რომლებიდანაც გამოქვითულია ამ ნასესხები სახსრების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავალი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსი საქონელისთვის ან მომსახურებისთვის სავარაუდოდ მიიღება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარ გადახდა გადაეცემა აქტივის საბალანსო ღირებულებას, მას შემდეგ, რაც კომპანიამ კონტროლი მოიპოვა აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება ხდება. თუ არსებობს იმის მოლოდინი, რომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის ღირებულება შემცირდება და შესაბამისი თანხა გატარდება როგორც გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალის უწყისში.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები დისკრეციული დივიდენდებით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოაცხადეს და დამტკიცეს. საანგარიშო პერიოდის შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდები, რაც ფინანსურ ანგარიშგებების დამტკიცებამდე მოხდა, უნდა გამჟღავნდეს შემდგომ მოვლენებში.

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები

ვალდებულებების და ჯარიმების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები გაურკვეველი დროისა და ოდენობის. ისინი დაირიცხება როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულიდან გამოწვეული, და სავარაუდოა რომ ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსებია საჭირო იმისათვის, რომ დაიფაროს ვალდებულება და საიმედო შეფასების გაკეთებაც შესაძლებელია. თუ ეფექტი არსებითია, რეზერვის ოდენობა განისაზღვრება დისკონტირების გზით, სადაც გამოყენებულია დაბეგვრამდე საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს ბაზრის შეფასებას ფულის დროით ღირებულებაზე და ასევე იმ რისკებს, რაც დაკავშირებულია მასთან.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები შედგება აღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯისგან, აღებულ სესხებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლისგან, საბანკო დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლებისგან და სავალუტო მოგებისგან და ზარალისგან, რომელიც ეხება აღებულ სესხებს ან ფულსა და ფულის ექვივალენტებს.

თანამშრომლების სარგებელი

ხელფასები, გადახდილი წლიური შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დარიცხული წლის განმავლობაში, რომელშიც ასოცირებული მომსახურება გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომ გასცეს პენსიები ან მსგავსი სარგებელი.

გაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დაბალანსდება და წმინდა თანხა აღირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ჩათვლაზე, და არსებობს ან ნეტო საფუძველზე დარეგულირების ან აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის ერთდროულად განხორციელების განზრახვა.

3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების არასარწმუნოების ძირითადი წყაროები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და ვარაუდებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებსა და მომავალი საანგარიშგებო პერიოდის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე. შეფასებებისა და ვარაუდების გადახედვა ხდება მუდმივად და თავის მხრივ თითოეული მათგანი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე, მათ შორის მომავალი მოვლენების მოხდენის მოლოდინზე, რომელთა წარმოქმნის ალბათობა მოცემულ ვითარებაში მიიჩნევა ლოგიკურად.

შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე იყენებს განსჯებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ციფრებზე, და შეფასებები, რომელთაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მოიცავს:

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადა

ძირითადი საშუალებების სარგებლიანობის ვადის განსაზღვრა სუბიექტურია და დამოკიდებულია ასეთ აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებაზე. აქტივებისთვის დამახასიათებელი მომავალი ეკონომიკური სარგებლიანობა ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. აქტივის ღირებულების შემცირება ხმარებისას სხვა ფაქტორებმაც შეიძლება გამოიწვიოს. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სარგებლიანობის ვადას ახლანდელი ტექნიკური მდგომარეობის და აქტივიდან სარგებლის მიღების სავარაუდო პერიოდის მიხედვით. შეფასებისას ხდება შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზე დამოკიდებულია; და (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც საბაზრო პირობების ცვლილებით არის განპირობებული.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს დებიტორულ დავალიანებას. ჯგუფი თავისი შეხედულებით აფასებს გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები ექმნება და ანალოგიური მსესხებლების შესახებ ისტორიული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფი ასეთივე წესით აფასებს ცვლილებებს სამომავლო ფულად ნაკადებში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიაწვდიან ჯგუფში მსესხებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებაზე ან ქვეყნისა და ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს ჯგუფის აქტივების ამოღებაზე. ხელმძღვანელობა შეფასებებს ახდენს ისტორიული ზარალის გამოცდილებაზე დაყრდნობით სხვა ისეთ აქტივებზე, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი ახასიათებთ და რომელთა გაუფასურების ნიშნებიც დებიტორული დავალიანების ჯგუფის ანალოგიურია.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	სავალი გზა	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31.12.2020	344,806	-	727,814	11,244	1,419,589	3,203,189	176,832	519,517	6,402,991
შემოსვლა	-	618,189	8,044,625	-	3,273,296	3,395,583	215,791	352,314	15,899,798
გასვლა	-	-	(8,772,439)	-	-	(44,932)	(8,953)	-	(8,826,324)
ბალანსი 31.12.2021	344,806	618,189	-	11,244	4,692,885	6,553,840	383,670	871,831	13,476,465
შემოსვლა	-	-	26,292	208,969	185,740	7,561	-	-	428,562
გასვლა	-	-	(26,292)	(208,969)	-	(14,937)	-	-	(250,198)
ბალანსი 31.12.2022	344,806	618,189	-	11,244	4,878,625	6,546,464	383,670	871,831	13,654,829
აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება									
ბალანსი 31.12.2020	-	-	-	-	(127,173)	(797,037)	(78,987)	(67,705)	(1,070,902)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-	8,904	-	8,904
ცვეთა პერიოდისათვის	-	(10,303)	-	-	(190,863)	(565,622)	(52,465)	(74,752)	(894,005)
ბალანსი 31.12.2021	-	(10,303)	-	-	(318,036)	(1,362,659)	(122,548)	(142,457)	(1,956,003)
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	907	-	-	907
ცვეთა პერიოდისათვის	-	(41,213)	-	-	(327,944)	(676,176)	(88,725)	(87,183)	(1,221,241)
ბალანსი 31.12.2022	-	(51,516)	-	-	(645,980)	(2,037,928)	(211,273)	(229,640)	(3,176,337)
წმინდა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 31.12.2020	344,806	-	727,814	11,244	1,292,416	2,406,152	97,845	451,812	5,332,089
ბალანსი 31.12.2021	344,806	607,886	-	11,244	4,374,849	5,191,181	261,122	729,374	11,520,462
ბალანსი 31.12.2022	344,806	566,673	-	11,244	4,232,645	4,508,536	172,397	642,191	10,478,492

5. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	ინტელექტუალური საკუთრება	სულ
საწყისი ღირებულება			
ბალანსი 31.12.2020	7,033	66,799	73,832
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2021	7,033	66,799	73,832
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ბალანსი 31.12.2022	7,033	66,799	73,832
აკუმულირებული ცვეთა			
ბალანსი 31.12.2020	(1,117)	(1,113)	(2,230)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	(703)	-	(703)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	-	(6,680)	(6,680)
ბალანსი 31.12.2021	(1,820)	(7,793)	(9,613)
ჩამოწერილი აქტივების ამორტიზაცია	(703)	-	(703)
ამორტიზაცია პერიოდისათვის	-	(6,680)	(6,680)
ბალანსი 31.12.2022	(2,523)	(14,473)	(16,996)
წმინდა ღირებულება			
ბალანსი 31.12.2020	5,916	65,686	71,602
ბალანსი 31.12.2021	5,213	59,006	64,219
ბალანსი 31.12.2022	4,510	52,326	56,836

6. სასაქონლო - მატერიალური მარაგები

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ნედლეული და მასალები	10,089,926	11,320,004	8,005,264
დაუმონტაჟებელი მოწყობილობები.	3,389,744	1,812,370	-
მზა პროდუქცია	778,062	1,279,210	608,214
დაუმთავრებელი წარმოება	252,483	36,477	7,587
ნიმუშები	111,766	116,832	19,547
სათადარიგო ნაწილები	74,705	116,186	110,067
იარაღი და ინვენტარი	24,274	32,851	41,387
სხვა მარაგები	108,634	166,824	792,550
სულ	14,829,594	14,880,754	9,584,616

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3,639,124	6,777,879	7,671,707
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(3,110,957)	(2,571,792)	(2,312,073)
წინასწარ გადახდილი ხარჯები	-	13,521	13,520
მისაღები პროცენტები	5,264	-	-
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	19,096	9,385	250
სულ	552,528	4,228,993	5,373,405

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ლარი საბანკო ანგარიშებზე	55,099	62,333	137,835
აშშ დოლარი საბანკო ანგარიშებზე	7,701,488	683,174	883,866
ევრო საბანკო ანგარიშებზე	22,498	10,123	880,567
სულ ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	7,779,085	755,630	1,902,268
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	6,678	4,890	4,170
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,678	4,890	4,170
სულ	7,785,763	760,520	1,906,438

9. ნასესხები სახსრები

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
მიღებული სესხები - გრძელვადიანი წილი	6,271,056	5,562,885	5,314,451
გრძელვადიანი ვალდებულებები	6,271,056	5,562,885	5,314,451
მიღებული სესხები - მიმდინარე წილი	4,292,463	6,182,577	401,925
გადასახდელი პროცენტი	116,074	30,839	7,398
მიმდინარე ვალდებულებები	4,408,537	6,213,416	409,323
სულ	10,679,593	11,776,301	5,723,774

საბანკო სესხები აღებულია სს თიბისი ბანკში, რომელიც გამიზნულია საბრუნავი კაპიტალის მოკლევადიანი ფინანსირებისათვის.

სესხები უზრუნველყოფილია ერთი მხრივ კომპანიის თავდებობით შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-ის მიერ და მეორე მხრივ პირადი თავდებობებით დავით ბარდაველიძის მიერ. უზრუნველყოფა ასევე მოიცავს საცხოვრებელ ფართს, რომლის მფლობელები არიან დავით ბარდაველიძე და ფარნაოზ მახარაძე, გარდა ამისა შპს ბარზოსა და შპს ჯეორჯიან პროდაქტსის საწარმოო ფართს და შპს ჯეორჯიან პროდაქტსის ძირითად საშუალებას.

კომპანიას ასევე აქვს სასახო ვალდებულება შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007-სა და Zooplus-ისგან.

შპს “ჯეორჯიან პროდაქტს“ აქვს ლიზინგით შეძენილი ქონება სს თიბისი ლიზინგისგან.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2022 წელის 31 დეკემბერი	2021 წელის 31 დეკემბერი	2020 წელის 31 დეკემბერი
ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	2,416,488	1,367,565	1,008,042
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	5,909	6,306	5,077
გადასახდელი ხელფასები	1,609	1,761	1,000
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	412	415	415
სულ	2,424,419	1,376,047	1,014,535

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
ძირითადი მასალების თვითღირებულება	37,943,582	36,171,611	23,255,672
ხელფასის ხარჯი	5,920,963	6,304,848	5,008,894
დამხმარე მასალების თვითღირებულება	1,607,037	1,362,416	978,442
სხვა თვითღირებულების ხარჯები	250,191	380,262	162,878
სულ	45,721,773	44,219,138	29,405,887

12. სხვა შემოსავალი

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	4,309,510	5,334,640	4,282,156
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	585,571	-	-
საწარმოო ნარჩენების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი	21,113	51,802	76,786
სხვა შემოსავლები	16,695		
სულ	4,932,889	5,386,442	4,358,942

13. დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	5,787,464	5,890,998	4,887,532
მომსახურების ხარჯები	77,741	22,957	53,972
რეკლამის ხარჯები	14,253	21,653	4,237
მიწოდების და სხვა ხარჯები	4,043	9,112	2,436
სულ	5,883,501	5,944,720	4,948,177

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
საგადასახადო ხარჯები	1,813,675	69,973	52,637
ცვთა და ამორტიზაცია	1,228,625	901,388	454,389
თანამშრომელთა ხელფასი	865,808	870,929	840,085
იჯარის ხარჯები	787,526	789,913	670,682
კომუნალური ხარჯები	464,892	483,859	221,490
ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	359,674	440,480	264,844
საკონსულტაციო ხარჯები	433,569	61,007	131,198
მიკროავტობუსებით ტრანსპორტირების ხარჯები	182,852	-	-
დაზღვევის ხარჯები	154,045	127,838	92,597
რემონტის ხარჯები	153,905	791,540	198,839
კვების ხარჯები	113,842	-	-
საპენსიო ფონდის ხარჯები	82,863	92,027	71,051
ავტომობილის მომსახურების ხარჯები	34,627	-	-
ბანკის მომსახურების საკომისიო	25,406	42,021	46,370
მივლინების ხარჯები	29,941	40,939	71,681
ოფისის ხარჯები	20,410	28,018	13,469
დაცვის ხარჯები	13,409	-	-
კომუნიკაციის ხარჯები	9,678	8,434	5,763
წარმომადგენლობითი ხარჯები	6,821	19,673	2,373
საწარმოო ნარჩენების გატანის ხარჯები	2,297	-	-
კომპიუტერის ხარჯები	-	1,756	304
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	280,633	421,983	140,067
სულ	7,064,498	5,191,778	3,277,839

15. ფინანსური ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
საპროცენტო ხარჯები	542,829	467,370	137,953
სულ	542,829	467,370	137,953

16. წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	4,389,347	2,705,733	1,491,839
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	3,401,028	2,027,884	1,342,610
წლის წმინდა საკურსო მოგება/(ზარალი)	988,319	677,849	149,229

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
მარაგების ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული მოგება (ზარალი)	2,357,134	(340,652)	(147,039)
შემოსავალი სუბსიდიებიდან	169,164	50,946	74,178
სახელმწიფოს მიერ დაწესებული საშემოსავლო გადასახადის შელავათის შემოსავლად აღიარება	-	388,152	459,424
სადაზღვეო მიერ ზარალის ანაზღაურება	7,907	-	-
შემოსავალი ნარჩენების გადამუშავებიდან	-	41,236	63,280
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება (ზარალი)	-	4,053	-
შემოსავალი გაუფასურებული მარაგების რეალიზაციიდან	-	32,119	10,699
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	32,288	72,515	87,999
სულ	2,566,494	248,370	548,542

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	12 თვე, 2022წ.	12 თვე, 2021წ.	12 თვე, 2020წ.
სსიპ შემოსავლების სამსახურთან შედარების შედეგად წარმოქმნილი შემოსავალი (ხარჯი)	101,209	139,996	(105,761)
საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვების ცვლილება	539,166	259,719	2,312,073
ურთიერთ შედარების შედეგად ვალის კორექტირება	51,578	381,578	297,812
COVID 19-თან დაკავშირებული ხარჯები	-	123,372	102,042
ტრანსპორტირების ხარჯები	-	384,737	284,076
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	13,939	23,142	13,896
სულ	705,892	1,312,545	2,904,139

19. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

დროდადრო და ბიზნესის ნორმალური მიმდინარეობისას შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წაყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის გამო. აქედან გამომდინარე, ამ ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით არ გაკეთებულა. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია დავების შესახებ აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღის მდგომარეობით;

მოსარჩელე	მოპასუხე	დავის დაწყების თარიღი	მოკლე აღწერა	დავის თანხა	საგარეულო შედეგის შეფასება
შპს ჯეოგეოგრაფიკული პროდაქტს	სსიპ შემოსავლების სამსახური	02.10.2020	კომპანიის მიერ აუქციონზე შეძენილი იქნა 2 უძრავი ქონება, რომლებთანაც არ უფიქსირდებოდათ გირავნობა/იპოთეკა. 2020 წლის 2 ოქტომბრის კომპანიამ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიიღო შეტყობინება ქონების დაყადაღების შესახებ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მტკიცებით, გირავნობის/იპოთეკის მიუთითებლობა გამოწვეულია ტექნიკური ხარვეზით, რომელიც რეესტრის მტკიცებით, აღმოიფხვრა აღმოჩენისთანავე. პირველი ინსტანციის სასამართლოში დავა გადაწყდა შპს ჯეოგეოგრაფიკული პროდაქტსის სასარგებლოდ. რაც მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, თუმცა ასევე არ დაკმაყოფილდა მოპასუხეს საჩივარი	1,701,011.04 (მილიონ შვიდას ერთ იათას თერთმეტი) ლარი 4თეთრი	99/1
ალექსანდრე ახალაია	შპს ჯეოგეოგრაფიკული პროდაქტს	23.01.2023	მოსარჩელე მოითხოვს სამსახურში აღდგენას დაყოველთვიურ ანაზღაურებას 2022 წლის 3 იანვრიდან აღსრულების მომენტამდე	1,960(ათას ცხრაას სამოცი) ლარი 2022 წლის 3 იანვრიდან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტამდე	70/30

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიის შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, სწრაფად ვითარდება. საგადასახადო და მარეგულირებელ კანონმდებლობას ახასიათებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. საქართველოს ეკონომიკის მომავალი მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ

განხორციელებული ეკონომიკური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას არ გააჩნია სრული სადაზღვევო დაფარვა თავის მოძრავ ქონებაზე, საქმის შეწყვეტაზე ან მესამე პირის ვალდებულებაზე კერძო საკუთრებასთან მიმართებაში, ან შემთხვევითობის წყალობით წამოჭრილი რაიმე გარემო ზიანზე კომპანიის საკუთრების ან ოპერაციების მიმართ. სანამ კომპანია მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი ზეგავლენა კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ პოზიციაზე.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომლებიც დიდწილად ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში განხორციელებული ეს ცვლილებები გარკვეულწილად ნიადაგის შემამზადებელი ხასიათისაა და მომავალში მეტი ცვლილებაა მოსალოდნელი ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმის განხორციელების პარალელურად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია „მსს ფასს“-ში „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან

(ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფისა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022	დებიტორული დავალიანება	გაცემული სესხი	დარიცხული დივიდენდი	დარიცხული პროცენტი	ნასესხები სახსრები	კრედიტორული დავალიანება
შპს გეოპროვიქენ	42,245	105,000	-	-	-	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	17,253	-	-	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007	-	-	-	102,900	1,617,509	-
შპს ბარზო	1,554,822	-	-	-	-	476,104
მერი ბარდაველიძე	-	-	2,962,535	-	-	-
ალექსანდრე კიკნაძე	-	-	138,947	-	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	1,614,320	105,000	3,101,483	102,900	1,617,509	476,104

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021	დებიტორული დავალიანება	დარიცხული დივიდენდი	დარიცხული პროცენტი	ნასესხები სახსრები	კრედიტორული დავალიანება
შპს გეოპროვიქენ	33,151	-	-	-	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	17,253	-	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007	-	-	18,594	1,854,328	-
შპს ბარზო	1,210,598	-	-	-	416,130
ალექსანდრე კიკნაძე	-	31,579	-	-	-
სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან	1,261,003	31,579	18,594	1,854,328	416,130

ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020

	დებიტორული დავალიანება	დარიცხული დივიდენდი	კრედიტორული დავალიანება
შპს გეოპროვიჟენ	7,021	-	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	6,400	-	-
შპს ბარზო	1,213,524	-	17,332
ბექა სანს-მამულაშვილი	-	-	75
ალექსანდრე კიკნაძე	-	10,526	-

სულ ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან

1,226,945	10,526	17,407
------------------	---------------	---------------

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2022

	დებიტორული დავალიანება	შესყიდვა	საპროცენტო ხარჯი	დარიცხული დივიდენდი
შპს გეოპროვიჟენ	9,503	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007	22,708	-	104,286	-
შპს ბარზო	713,627	1,187,527	-	-
მერი ბარდაველიძე	-	18,751	-	2,962,535

სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

745,838	1,206,277	104,286	2,962,535
----------------	------------------	----------------	------------------

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2021

	დებიტორული დავალიანება	შესყიდვა	საპროცენტო ხარჯი	დარიცხული დივიდენდი
შპს გეოპროვიჟენ	80,569	80,569	-	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	9,198	-	-	-
შპს ჯორჯიან სერვის გრუპი-2007	-	-	15,855	-
შპს ბარზო	104,463	1,179,428	-	-
მერი ბარდაველიძე	1,463	22,847	-	5,032,538
ალექსანდრე კიკნაძე	150	-	-	-
ბექა სანს-მამულაშვილი	186	-	-	-

სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

196,028	1,282,843	15,855	5,032,538
----------------	------------------	---------------	------------------

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31-დეკ-2020

	დებიტორული დავალიანება	შესყიდვა	დარიცხული დივიდენდი
შპს გეოპროვიქენ	5,246	-	-
შპს გერმანულ-ქართული აგრარული საზოგადოება აკერი	5,424	-	-
შპს ბარზო	1,098,544	827,226	-
მერი ბარდაველიძე	4,518	18,303	5,695,561
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	1,113,732	845,529	5,695,561

მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება

	2022 წელი	2021 წელი	2020 წელი
ალექსანდრე კიკნაძე	20,625	31,276	23,890
ბექა სანს-მამულაშვილი	15,625	-	-
დავით ბარდაველიძე	104,355	45,125	45,997
სულ მენეჯმენტის შრომითი ანაზღაურება	140,605	76,401	69,887

21. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას ჯგუფი მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ჯგუფის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და
- უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

ჯგუფი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია ჯგუფმა დააკორექტიროს გადასახდელი დივიდენდების თანხები, დააბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

22. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი ანალიზი „საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე. 2023 წლის 1 იანვრიდან აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღის მდგომარეობით ჯგუფში მოხდა შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

- 2023 წლის 7 აგვისტოს შპს ბობინის 100% მეწილე გახდა შპს ჯეორჯიან პროდაქტს
- 2023 წლის 28 აპრილს მოხდა შპს ბობინის კაპიტალის შემცირება 134,422 ლარით
- დღესდღეობით შპს ბობინს შეჩერებული აქვს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა. ხორციელდება მხოლოდ ბალანსზე არსებული სასაქონლო მატერიალური მარაგების ამოყიდვა. ამჟამად მენეჯმენტი მსჯელობს შპს ბობინის სამომავლო განვითარების სტრატეგიაზე.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ შპს ჯეორჯიან პროდაქტსმა გასცა 357,653 ლარი დივიდენდი.

23. ფუნქციონირებადი საწარმო

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია.

ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2019 წლის 31 დეკემბერს ჩინეთმა გააფრთხილა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იმის თაობაზე, რომ ქ. უჰანში გამოვლინდა უჩვეულო ფორმის პნევმონიის რამდენიმე შემთხვევა. თუმცა, მხოლოდ 2020 წლის დასაწყისში გამოჩნდა არსებითი ინფორმაცია იმის თაობაზე, რაც ამჟამად უკვე იდენტიფიცირებულია, როგორც კორონავირუსი.

მენეჯმენტის თქმით კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული სირთულეები დაძლეულია და აღარ წარმოადგენს პრობლემას. ჯგუფის ფუნქციონირებადობის საკითხისთვის მეტად საყურადღებოა რუსეთ-უკრაინას შორის ომი. ომის გამო დაკარგეს რამოდენიმე მომწოდებელი, თუმცა დროულად მოხდა მომწოდებლების ჩანაცვლება და ამ ეტაპისთვის აღნიშნული საკითხიც დაძლეულია.

24. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია და დამოწმებულია მენეჯმენტის მიერ 2023 წლის 11 დეკემბერს.

შპს ჯეორჯიან პროდაქტს
ს.ნ 405070676

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საქართველო

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი, აერთიანებს შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ და მის შვილობილი კომპანია შპს „ბობინთან“ (შემდგომში ჯგუფი) დაკავშირებულ ისეთ არსებით კომპონენტებს, როგორიცაა საქმიანობის შინაარსი, მომსახურების სტანდარტები და საორიენტაციო ღირებულებები; მოიცავს ჯგუფის, როგორც განვლილ მიღწევებს, ისე მომავალში დასახულ მიზნებსა და ჯგუფში შემავალი კომპანიების განვითარების პოტენციალს. ამასთან, გიზიარებთ ანალიტიკურ ინფორმაციას იმ ბიზნეს რისკების შესახებ, რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია ჩვენი ხედვა, სამომავლო გეგმები და კომპანიებში დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

2. წარდგინება დირექტორისაგან

მოხარული ვარ წარმოგიდგინოთ შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.

ანგარიშგების მიზანია თვალსაჩინო გაეხადოთ ჯგუფის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი მოწოდება გაეზარდოთ არსებული ბიზნესი, ხარისხისა და ეფექტურობის პარალელურად. ჩვენი რესურსი ორიენტირებულია ინოვაციების დამკვიდრებაზე, ხარჯების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე. ვამაყობ, რომ კომპანიაში გვაქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზანი, მაღალ ღირებულებებზე დამყარებული ხედვა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა. მაღლობას გიხდით გამოჩენილი ინტერესისათვის, ჩვენ მზად ვართ შევეჭიდოთ ნებისმიერ გამოწვევას, რათა მოვიპოვოთ ნდობა და პატივისცემა ჩვენი მომხმარებლების, პარტნიორებისა და დასაქმებულებისაგან.

3. ჯგუფის შესახებ

ჯგუფში შედიან შემდეგი კომპანიები

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ ს.ნ 405070676 - როგორც მშობელი საწარმო

შპს „ბობინი“ ს.ნ 405151151- როგორც შვილობილი საწარმო

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ დაარსდა 2014 წლის 10 ნოემბერს. სტიმული კომპანიის დაფუძნებისა იყო ის გარემოება, რომ 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებას. აღნიშნული ხელშეკრულების ხელმოწერამ, ქვეყანას ლოჯისტიკურად ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობასთან ერთად სხვა დამატებითი უპირატესობები შესძინა. აღნიშნული გახდა პირველი ბიძგი იმისა, რომ რეალურად გვეფიქრა საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე ევროკავშირის ქვეყნებში. შეღავათიანმა საბაჟო რეჟიმმა მოგვცა შანსი კონკურენცია გაგვეწია ისეთი მწარმოებელი ქვეყნებისათვის, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი და ა.შ.

2016 წლის 26 მაისს დაარსდა შპს „ბოზინი“ (სკ 405151151) რომლის ძირითადი საქმიანობაა ქაღალდის მიღების წარმოება. ქაღალდის მიღები წარმოადგენს მშობელი საწარმოს შპს „ჯეორჯიან პროდაქტს-ის“ მნიშვნელოვან მასალას საბოლოო პროდუქტის შექმნაში.

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ევროპულ ბაზარზე საკუთარი პოზიციების გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ჯგუფის მთავარი ამოცანა წინა წელთან შედარებით არ შეცვლილა: პროექტების რაოდენობის ზრდის საშუალებით, გაზარდოს საქმიანობის მასშტაბები. ამავდროულად, შეინარჩუნოს მომსახურების მაღალი ხარისხი, მიწოდების ვადების დაცვითა და რესურსების ეფექტიანი მოხმარებით.

4. ჯგუფის საქმიანობა

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“ საქმიანობის სფეროს განსაზღვრა, განაპირობა კონტაქტმა ცხოველების ავეჯის, საკვებისა და სხვა აქსესუარების ევროპის ბაზარზე მიმწოდებელ კომპანიასთან.

რამოდენიმე წლის წინ წარმოება დავიწყეთ 1 დასახელების პროდუქტით. დღეს საწარმოში დასაქმებული 400-მდე ადამიანი პროდუქციის 135-მდე სახეობას აწარმოებს. ძირითადად, ორიენტირებული ვართ ევროკავშირის ქვეყნებზე - გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი, ბელგია, ინგლისი, პოლონეთი, ესპანეთი. განვახორციელეთ ექსპორტი აშშ-იც. სატრანსპორტო გადაზიდვებს ვანხორციელებთ როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო გადაზიდვებით. კომპანიის ფაქტიური მისამართია: თბილისი, სამგორის რაიონი, გიორგი ნადარეიშვილის N66 ბ. აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია საწარმოო სიმძლავრეები, სასაწყობე ფართები და ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები. კომპანიას არ აქვს ცალკე ფილიალები. საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ საჭიროებს გეოგრაფიულ გაფართოებას, შესაბამისად ის წარმოდგენილია თბილისში ერთი ფილიალით, სადაც განთავსებულია როგორც საწარმო, ასევე ადმინისტრაცია.

შვილობილი კომპანიის შპს „ბოზინის“ დაარსება გადაწყდა მშობელი კომპანიის სწრაფი ზრდის პირობებში. ქაღალდის მილის ადგილზე წარმოებამ კომპანია უფრო ეფექტური გახადა.

5. შიდა სტრუქტურა

მშობელი საწარმოს, შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ში განსაზღვრულია თანამდებობრივი იერარქია და უფლება-მოვალეობები. ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და დამფუძნებელია მერი ბარდაველიძე, პ/ნ 01024009685

კომპანიას უშუალოდ მართავს აღმასრულებელი დირექტორი - დავით ბარდაველიძე, პ/ნ 01024008040

ჯგუფში წარმოდგენილი გუნდები იღებს ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას და ახორციელებს მას კომპანიის საქმიანობის წარმართვის პროცესში, თავის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების ჩართულობით, საკუთარი კომპეტენციისა და უფლება-მოვალეობების ფარგლებში.

6. სამომავლო გეგმები

დაგეგმილია აშშ-ის ბაზარზე გააქტიურება, ვინაიდან 2021 წელს გვექონდა გამოცდილება რეალიზაციის კუთხით. 2023 წელს ვთვლით, რომ იქნება შედარებით ნაკლები რეალიზაცია, ვინაიდან წინა წელს. რუსეთ-უკრაინის ომის ფაქტორი გავლენას ახდენს ევროპელების მსყიდველუნარიანობაზე, ვინაიდან გაეზარდათ ხარჯები ენერგომატარებლებზე. 2024 წელს ვფიქრობთ, რომ კომპანიას გაეზრდება მოთხოვნა და გაზრდილ მოთხოვნას ესაჭიროება გაზრდილი საწარმოო სიმძლავრეების არსებობა. შესაბამისად, დაგეგმილია კაპიტალდაბანდების განხორციელება მომდევნო წლებშიც როგორც ძირითადი საშუალებების შეძენის, ასევე საწარმოო ფართების ზრდის მიმართულებითაც. ყოველივე ზემოთაღნიშნული ნიშნავს მეტ ინვესტიციებს, მეტ დასაქმებულს ქვეყანაში და მეტ გადახდილ გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

შპს „ბოზინი“ თავის მხრივ ძირითადად შპს „ჯეორჯიან პროდაქტსის“ ზრდაზეა დამოკიდებული. მშობელი საწარმოს რეალიზაციის ზრდა, თავისთავად იწვევს შვილობილი საწარმოს ზრდასაც და პირიქით.

7. რისკ-ფაქტორები

საკრედიტო და დებიტორული დავალიანებების ამოუღებლობის რისკები ჩვენს კომპანიას არ გააჩნია. რისკ-ფაქტორებად შეგვიძლია მივიჩნიოთ უფრო გლობალური რისკები, ისეთი როგორიცაა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რეგიონში განვითარებული მოვლენები (სამხედრო დაპირისპირებები, როგორც რუსეთ-უკრაინის, ასევე შუა აზიის ქვეყნებში შექმნილი დამაბული სიტუაცია) და სხვა მსგავსი ფაქტორები. ერთერთი რისკ ფაქტორია კოვიდ პანდემიის პერიოდში ლოჯისტიკური პრობლემების გამო, ნედლეულის მოწოდების ვადების ზრდა. ამ კუთხით სიტუაცია სტაბილურდება და ვფიქრობთ, მომდევნო წლებში ნედლეულის მოწოდების ვადები შემცირდება. გრძელვადიან პერიოდში, შესაძლებელია რისკ ფაქტორად მიჩნეულ იქნას, ასევე ქვეყნიდან ახალგაზრდა შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინების მკვეთრი ზრდა.

8. COVID-19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

COVID-19-ის პანდემიის პირობებში თითქმის ყველა სახის ბიზნესი დაზარალდა, დაზარალდა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკები. ჩვენს შემთხვევაში მოთხოვნამ ევროპის ბაზარზე მოიმატა, გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი მომხმარებლები ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ყიდულობენ ნებისმიერ ნივთსა თუ საკვებს მთელი ევროპის მაშტაბით. დროებით ან საერთოდ დაიკეტა მთელი რიგი ზოო მარკეტები, მათი კლიენტურა კი გადავიდა ონლაინ შესყიდვებზე. შესაბამისად, მომხმარებლის დიდმა ნაწილმა შეიცვალა ქცევა და გადაერთნენ ელექტრონულ შესყიდვებზე. აღნიშნულმა, თავის მხრივ იმოქმედა ჩვენი ჯგუფის ბრუნვის ზრდაზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

ამასთანავე, აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ვცდილობთ წვლილი შევიტანოთ უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხისმგებელია მშობელი საწარმოს, შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ის მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი.

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“

აღმასრ. დირექტორი:

დავით ბარდაველიძე

8. COVID-19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

COVID-19-ის პანდემიის პირობებში თითქმის ყველა სახის ბიზნესი დაზარალდა, დაზარალდა მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკები. ჩვენს შემთხვევაში მოთხოვნამ ევროპის ბაზარზე მოიმატა, გამომდინარე იქიდან რომ ჩვენი მომხმარებლები ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით ყიდულობენ ნებისმიერ ნივთსა თუ საკვებს მთელი ევროპის მაშტაბით. დროებით ან საერთოდ დაიკეტა მთელი რიგი ზოო მარკეტები, მათი კლიენტურა კი გადავიდა ონლაინ შესყიდვებზე. შესაბამისად, მომხმარებლის დიდმა ნაწილმა შეიცვალა ქცევა და გადაერთნენ ელექტრონულ შესყიდვებზე. აღნიშნულმა, თავის მხრივ იმოქმედა ჩვენი ჯგუფის ბრუნვის ზრდაზე.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლა

ჯგუფი ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში ჯგუფი მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისათვის. ჩვენ ვითვალისწინებთ საქართველოს ეროვნული ბანკისა და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ყველა მოთხოვნასა და რეკომენდაციას,

ამასთანავე, აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან და ვცდილობთ წვლილი შევიტანოთ უკანონო შემოსავლის აღკვეთასა და ტერორიზმთან ბრძოლაში. მმართველობითი ანგარიშგების წარმოდგენაზე პასუხიმგებელია მშობელი საწარმოს, შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“-ის მართვაზე უფლებამოსილი პირი - აღმასრულებელი დირექტორი.

შპს „ჯეორჯიან პროდაქტს“

აღმასრ. დირექტორი:

დავით ბარდაველიძე

